ძველ მეტოქეთა მატჩი

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 16 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (მოსკოვი) 2:0 (2:0).

"დინამო": მჭედლიძე, პაიკიძე (კოსტავა), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცავა, შენგელია (მესხი).

"ტორპედო": ჩანოვი, პრიგოდა, პივცოვი, პოლუკაროვი, შავეიკო, გალაიბა (პეტრენკო), რადენკო, ვასილიევი, სოლოვიოვი, სუსლოპაროვი (ივანოვი), რედკოუსი.

მსაჯი ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები - 1:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ფრიდონიშვილმა.

ერევანში განცდილი მარცხის შემდეგ (1:4) ტორპედოელებს მთელი თავიანთი შესაძლებლობით უნდა ებრძოლათ ძველ მეტოქესთან - თბილისის "დინამოსთან". საერთოდ, თბილისელებს მუდამ საინტერესო შეხვედრები აქვთ ტორპედოელებთან, ეს დიდი ხნის ისტორიაა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მაყურებელი ამჯერადაც ნახავდა დაძაბულ, შინაარსიან თამაშს.

გარკვეული დაძაბულობა მატჩის მსვლელობაში, რა თქმა უნდა, იყო, ორივე მხარე ძალების დაუზოგავად იბრძოდა წარმატებისთვის, მაგრამ თამაშის სანახაობითი მხარე, შინაარსი ისეთი არ გამოდგა, როგორსაც მოველოდით. შეხვედრის მსვლელობაში იყო პერიოდები, როცა ბურთი საკმაო ხნით ვერ ცდებოდა შუა მინდვრის ფარგლებს, ნაკლებად იქმნებოდა სახიფათო მომენტები ორივე კართან და თუ დინამოელები ასე თუ ისე საკმარისად უქმნიდნენ საგოლე სიტუაციებს მოპირდაპირე მხარეს, მოსკოველთა შემტევმა რგოლებმა აშკარად წააგეს ბრძოლა მასპინძელთა მცველებთან. მათი იერიშები, როგორც წესი, იფუშებოდა ჯერ კიდევ საჯარიმო მოედნამდე.

თბილისელთა პირველი შეტევებიდან აღსანიშნავია ის მომენტი, როცა სულაქველიძის დარტყმის შემდეგ რადენკომ კარი ხაზიდან გამოიტანა ბურთი, შემდეგ, მე-14 წუთზე შენგელიას დარტყმა მოიგერია ძელმა, უკუგდებულ ბურთს მიუსწრო სულაქველიძემ, რომელიც ბოლო ხანებში ძალზე ზუსტად თამაშობს ამგვარ სიტუაციებში და გახსნა ანგარიში - 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ დინამოელებმა რატომღაც შეანელეს ტემპი და მეტოქეს მისცეს თავისუფალი თამაშის საშუალება. დინამოელთა შეტევაში გამოვყოფთ მხოლოდ გუცაევს, რომელიც, ეტყობა, თანდათან შედის ფორმაში, ნახევარდაცვაში აქტიურად მოქმედებდა სულაქველიძე, დაცვაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა პაიკიძემ.

...მიმდინარეობდა ტაიმის ბოლო წუთი, როცა "ტორპედოს" მხარეს დაინიშნა საჯარიმო. გუცაევმა და ჩივაძემ სწრაფად გაითამაშეს კომბინაცია, ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით ზუსტად გაგზავნა ბურთი ჩანოვის კარში - 2:0.

შესვენების შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო 20-25 წუთის მანძილზე, ინიციატივას დინამოელები ფლობდნენ, სტუმრების კარში ბურთის გატანა შეეძლოთ ცავას, სვანაძეს, გუცაევს, მესხს.

ანგარიში ამ მატჩში არ შეცვლილა, თუმცა სტუმრებს მიეცათ ერთი საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა. ეს მოხდა მაშინ, როცა ე. აზიმ-ზადემ, რომელიც ამ დღეს მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა სიმკაცრით და ხშირ შემთხვევაში უყურადღებოდ ტოვებდა უხეშობას, პენალტი დანიშნა დინამოელთა კარში. ტორპედოელებმა 11-მეტრიანი მიანდეს ვასილიევს, მისი დარტყმა კი კუთხურზე მოიგერია მჭედლიძემ.

რ. ქორიძე.
"ლელო", 18 აგვისტო, 1982 წ.